სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“

ანგარიში
2024 წლის შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზის შედეგებზე

აპრილი, 2025

MOORE

MOORE abc, LLC
2, Davit Gamrekeli Street,
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

აუდიტორთა ანგარიში ორგანიზაციის შესყიდვების კანონმდებლობასთან ანალიზის შედეგებზე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ხელმძღვანელობას

პერიოდი: 2024 წლის 1 იანვარი - 2024 წლის 31 დეკემბერი

1. შემოკლებანი

1.1 კომპანია - „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

1.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი, *ან* კანონი - საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 20 აპრილს მიღებული კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია.

1.3 სახელმწიფო შესყიდვა, *ან* შესყიდვა - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის[1] განმარტების მიხედვით კომპანიის მიერ განხორციელებილი შესყიდვა.

1.4. ელექტრონული სისტემა - სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური პორტალი https://tenders.procurement.gov.ge

1.5. საანგარიშო წელი *ან* საანგარიშო წლის პერიოდი - პერიოდი 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (იხ. პ.3.2 „აუდიტის მასშტაბი“).

2. შემაჯამებელი დასკვნა

შეირჩა და შემოწმდა კომპანიის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული შესყიდვების 81.7%[2] (246 შესყიდვა).

შეიძლება დადასტურებით ითქვას,რომ კომპანიის მიერ საანგარიშო წლის პერიოდში განხორციელებული შესყიდვები არ შეიცავს მოქმედ კანონთან, საკანონმდებლო და სხვა დაკავშირებულ მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის ფაქტებს.

3. აუდიტის მიზანი და მასშტაბი

3.1 აუდიტის მიზანი

კომპანიის მიერ საანგარიშო წლის პერიოდში განხორციელებული შესყიდვების ანალიზი, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან მიმართებაში რისკების, შეუსაბამობების ან ნაკლოვანებების დადგენის და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის მიზნით.

3.2 აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს კომპანიის მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები („საანგარიშო წელი“).

3.3 აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, რომ კომპანიას მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე.

[1] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“

[2] მ.შ.: ელექტრონული ტენდერების: 100% (30 შესყიდვა); კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში შესყიდვების: 100% (14 შესყიდვა); გამარტივებული შესყიდვების: 79% (202 შესყიდვა)

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

4. პასუხისმგებლობები. აუდიტის ფორმა

4.1 კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2024 წელს კომპანიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია აუდიტორისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

4.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.
აღნიშნული სტანდარტით მიხედვით, აუდიტორის სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები შესაფასებელი საქმიანობის შესახებ.

შენიშვნა: აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს კომპანიის მიერ 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი.

4.3 აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

5. აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა

კომპანია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 23 დეკემბრის „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის შესაბამისად[3]. „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" სტატუსი კომპანიას 2013 წლის 25 დეკემბერს მიენიჭა.

კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოები არიან სამეურვეო საბჭო და გენერალური დირექტორი, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის დებულებით[4]. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოები იღებენ კომპანიის შესყიდვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ან/და გამოცემენ ბრძანებებს.

კომპანიის ვებპორტალის (https://ajaratv.ge/) გვერდებზე „კონკურსები“ (https://ajaratv.ge/management/documents?category_id=4) და „მაუწყებლის მენეჯმენტი“ (https://ajaratv.ge/management/documents) წარმოდგენილია შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

კომპანიის შესყიდვების სამსახურის ამოცანაა ოპერატიულად და ეფექტიანად დააკმაყოფილოს კომპანიის შესყიდვების მოთხოვნილებები და ამ მიზნით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები, რომელიც რეგულირდება და განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიხედვით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა[5].

სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კომპანიის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება და კომპანიის საკუთარი სახსრები (შემოსავალი).

კომპანიის მიერ წარმოდგენილი იყო სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში 2024 წლის პერიოდში დაფიქსირებული შესყიდვების დეტალური ჩამონათვალი (ელექტრონული ტენდერი: 30; შესყიდვები კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში: 14; გამარტივებული შესყიდვები: 257)(იხ. დანართი # 1).

რადგან წინა წლის აუდიტი, რომელიც შეეხებოდა 2023 წლის საანგარიშო პერიოდს, ჩვენ მიერ იყო ჩატარებული, შემოწმების დროს ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, თუ როგორ იყო კომპანიის მიერ გათვალისწინებული წინა წლის აუდიტის რეკომენდაციები.

[3] კანონი მაუწყებლობის შესახებ, თავი III[1]
[4] საქართველოს კანონი მაუწყებლის შესახებ, თავი III[1], მუხლი 35[3]
[5] საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მუხლი 1, პუნქტი 3[1], ქვეპუნქტი „მ“

კომპანიისათვის 2024 წლის აპრილში აუდიტის ანგარიშის მიწოდების შემდეგ არ აღინიშნა განმეორებით არცერთი გარემოება, რაზეც ამგვარი რეკომენდაცია იქნა გაცემული.

6. ძირითადი ტექსტი

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებს განსაზღვრავს **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“** 2005 წლის 20 აპრილის საქართველოს კანონი და შემდეგი კანონქვემდებარე და საკანონმდებლო დოკუმენტები:

- **„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება#9
- **„შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება #2
- **„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება #12
- **„სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის ბრძანება #27
- **„გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება #13.

ასევე:

- **„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“** 2017 წლის 21 აპრილის საქართველოს კანონი

აუდიტის დროს აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემები

6.1

კრიტერიუმი:

1. „ხელშეკრულება ... უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას[6]: ... ვ) საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას; ... კ) ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადას.“;
2. „4[7]. ხელშეკრულების მოქმედება, სულ მცირე, 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდებისთვის, მომსახურების გაწევისთვის ან სამშენებლო სამუშაოს შესრულებისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.“
3. „ხელშეკრულება ... უნდა შეიცავდეს[8]: ... ე) საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას (ხელშეკრულების შესრულების ვადა); ... ი) ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადას.
4. „6[9]. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სულ მცირე, 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას.“

გამოვლენილი გარემოება

1. **CMR240058686;** მიმწოდებელი: სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“; ხელშ. #02-22/102; ხელშ. საგანი: საზოგადოებრივი სატელეფონო კავშირის მომსახურება; სახელშეკრულებო ღირებულება: 500.00 ლარი; ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 04.04.2024; ხელშეკრულების ვადა: 31.12.2024
   - ხელშეკრულებაში მომსახურების გაწევის ვადა არ არის მინიშნებული

2. **NAT240016403;** მიმწოდებელი: TVC Solutions, UAB; ხელშ. #02-22/254; ხელშ. საგანი: სტუდიური აღწარმოების სერვერის მიწოდება, საინსტალაციო სამუშაოები, პერსონალის ტრენინგის და მხარდაჭერის მომსახურება; სახელშეკრულებო ღირებულება: 426,680.00 ლარი; ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 24.10.2024; მიწოდების ვადა: 24.12.2024; ხელშეკრულების ვადა: 31.12.2024. სტატუსი: მიმდინარე ხელშეკრულება.
   - ხელშეკრულების ვადის (31.12.2024) და მიწოდების ვადის (24.12.2024) სხვაობა შეადგენს 7 კალენდარულ დღეს.

კომპანიის პასუხი

1. **CMR240058686:**
   „რაც შეეხება მომსახურების გაწევის ვადას, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება №12-ის 33-ე მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის ვადას. აქედან გამომდინარე მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2024 წლის 01 დეკემბერი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

[6] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“; მე-10 მუხლი, პ.2
[7] იქვე: პ.4
[8] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება №12 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“; მუხლი 33, პ.5
[9] იქვე: პ.6

დეკემბრის თვეში მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა არ მომხდარა და შესაბამისად არც ანგარიშსწორება გაუწევია მაუწყებელს.“

2. **NAT240016403:**
„აღნიშნულ ტენდერში მომწოდებელი კომპანია არარეზიდენტია, კონსორციუმი - TVC Solutions, UAB; აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ზუღალტრული სამუშაოები. დღგ-ს დარიცხვა მოხდა არასწორად. საგადასახადოსგან ელოდებიან გადარიცხული თანხის დაბრუნებას (11001.17 ლარი), შემდგომში მიღება-ჩაბარების დაკორექტირებისთვის და ერთიანად ანგარიშსწორებისთვის. საქონელი და მომსახურება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში არ არის გაწეული. ამასთან დაკავშირებით ცალკე ფაილად წარმოგიდგენთ მიღება-ჩაბარების აქტს, ჯარიმის წერილს და გაცნობებთ რომ, ამ ეტაპზე მომწოდებელს არ აქვს გადახდილი პირგასამტეხლო. “

დასკვნა

აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ერთჯერადი ხასიათის ნაკლოვანებას, მაგრამ ყურადსაღებია, რადგან დარღვეულია შესყიდვების სააგენტოს ნორმატიული მოთხოვნა, რომელიც შეეხება ხელშეკრულებაში გასაწერ ორ სავალდებულო პირობას: (1) საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადის და ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტულ ვადის აუცილებელ მითითებას და (2) ამ ორი ვადის შორის აუცილებელი 30-დღიანი პერიოდის განსაზღვრას (დაცვას).
კომპანიის განმარტებით, პირველ შემთხვევაში (**CMR240058686**) დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და მინიშნებულია, რომ მომსახურება ხელშეკრულების დასრულებამდე 30 დღეის განმავლობაში არ გაწეულა. შესაძლებელია ეს არგუმენტაცია და ასევე ხელშეკრულების 1 მუხლის და მე-2 მუხლის პ.2.2 პირობების გათვალისწინება (მომსახურების ეტაპობრივი მიწოდება მოთხოვნისამებრ და გადახდა ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად), ხელშეკრულების მხარეებს ერთგვარად საშუალებას აძლევდეს კანონის მოთხოვნა 30 დღის დაცვის თაობაზე პირობითად დააკმაყოფილონ მომსახურების მოთხოვნა-მიწოდების ვადების კონტროლით. მაგრამ, კანონმდებარე აქტი ცალსახად მოითხოვს კონკრეტული ვადების მითითებას, და თუ ეს ვადები არ არის გაწერილი, ნორმატიული მოთხოვნა დარღვეულია.
მეორე შემთხვევაში (**NAT240016403)** 7-დღიანი სხვაობა ვადებს შორის აშკარა ფაქტია და კომპანიას არ გაუკეთებია კომენტარი. რეალურად, მიმწოდებელმა დაარღვია მიწოდების ვადა და ხელშეკრულებაში მითითებული ორივე ვადა არააქტუალური გახდა. რა თქმა უნდა ეს მომენტი არ ხსნის დღის წესრიგიდან ხელშეკრულებაში თავიდანვე თარიღების სწორი გაწერის მნიშვნელობას.

რეკომენდაცია

კომპანიის შესყიდვების სამსახურის წარმომადგენელთან საუბარში აღინიშნა ამ საკითხის მნიშვნელობა და საჭიროება, რომ ხელშეკრულების ნორმატიული დოკუმენტებით მოთხოვნილი პირობები აუცილებლად იქნას სწორად ჩაწერილი. შესყიდვების სამსახურს ასევე ვურჩევდი წლიური ხელშეკრულებების პერიოდულ (კვარტალში ან ნახევარ წელში ერთხელ) გადახედვას და, საჭიროებისამებრ, მაკორექტირებელი ცვლილებების შეტანას.

6.2

კრიტერიუმი:

1. 4[10]. კონკურსის, ელექტრონული ტენდერის ან კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულების, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტების, ამ ხელშეკრულების ცვლილების (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტის სააგენტოსათვის წარდგენად ჩაითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, შესაბამისად, ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულების ცვლილების ამსახველი დოკუმენტის სისტემის შესაბამის ველში ატვირთვა, რაც უნდა განხორციელდეს, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია, ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია[11], ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“).

გამოვლენილი გარემოებები/ ნაკლოვანებები

1. **NAT240009302**; მიმწოდებელი: შპს „ბეგური“; ხელშ. #02-22/129; ხელშ. საგანი: ორგანიზაციის ადმინისტრაციულ შენობებში, მდებარე ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. N 16-18-ში, მემედ აბაშიძის ქ. N 57-ში და მემედ აბაშიძის ქ. N 41-ში

[10] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება № 2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.
[11] იქვე: მუხლი 2, „ე6 ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან/შეუსრულებლობასთან (მათ შორის, მიღება-ჩაბარების აქტი, ზედნადები, ანგარიშფაქტურა, ხელშეკრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის დასკვნა, ექსპერტიზის დასკვნა, კორესპონდენცია,ფოტოსურათი და სხვ.)“

სარემონტო სამუშაოების ჩატარება; სახელშეკრულებო ღირებულება: 128,776.05 ლარი; ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 03.06.2024; სამუშაოს შესრულების ვადა: 15.08.2024 / ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის ვადა: 15.09.2024[12]; ხელშეკრულების ვადა: 31.12.2024.

- მიმწოდებელს მიერ შესრულების ვადის დაღვევა; პირგასამტეხლოს დაკისრება თუ მოხდა? მიმწოდებელმა ექსპერტიზის ოქმი თუ წარადგინა ვადაში.

2. **NAT240020578**; მიმწოდებელი: შპს „მკს“; ხელშ. #02-22/282; ხელშ. საგანი:მეხსიერების ბარათების (35 ერთეული) და მეხსიერების ბარათის წამკითხველების (10 ერთეული) მიწოდება; სახელშეკრულებო ღირებულება: 57,466.00 ლარი; ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 25.11.2024; მიწოდების ვადა 25.01.2025; ხელშეკრულების ვადა: 28.02.2025.

სისტემაში ატვირთულია 21.02.2025 და 26.02.2025 სასაქონლო ზედნადებები.

- რა ვადაში მოხდა მიწოდება? პირგასამტეხლოს დაკისრება თუ მოხდა?

3. **NAT240020862**; მიმწოდებელი: შპს „მკს“; ხელშ. #02-22/289; ხელშ. საგანი: სასცენო საკომუტაციო ბლოკის მიწოდება; სახელშეკრულებო ღირებულება: 24,284.40 ლარი; ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 29.11.2024; მიწოდების ვადა 18.01.2025; ხელშეკრულების ვადა: 30.04.2025.

- რა ვადაში მოხდა მიწოდება? პირგასამტეხლოს დაკისრება თუ მოხდა?

კომპანიის პასუხი

1. **NAT240009302**:

„აღნიშნულ შესყიდვაში შპს „ბეგურს“ დაეკისრა პირგასამტეხლო დაგვიანებულ დღეებზე (15 კალენდარული დღე) 251.40 ლარი. ჯარიმის წერილს, გადახდის ქვითარს და ექსპერტიზის დასკვნას წარმოგიდგენთ ცალკე ფაილებად.“

2. NAT240020578:

„აღნიშნულ შესყიდვაში თანხა ჩარიცხული იყო ავანსის სახით. ასევე გაცნობებთ, რომ მოხდა საქონლის დაგვიანებით მოწოდება. ჯარიმის წერილს და გადახდის ქვითარს წარმოგიდგენთ ცალკე ფაილად და შეთანხმებას ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდაზე.“

3.NAT240020862:

„აღნიშნულ შესყიდვაში თანხა ჩარიცხული იყო ავანსის სახით. ასევე გაცნობებთ, რომ მოხდა საქონლის დაგვიანებით მოწოდება. ჯარიმის წერილს და გადახდის ქვითარს წარმოგიდგენთ ცალკე ფაილად.“

დასკვნა

ელექტრონულ სისტემაში მუშაობის დროს მნიშვნელოვანია ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დროულად (არაუგვიანეს 10 დღის ვადაში) ასახვა. კომპანიის შესყიდვების სამსახური კარგად ართმევს თავს ამ ამოცანას და ზემოაღნიშნული სამი შემთხვევის მაგალითზე ყურადღებას ვამახვილებ ისეთი დოკუმენტაციის ატვირთვა, რომელიც მიმწოდებლის მხრივ საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან სამუშაოების შესრულების ვადების დარღვევაზე კომპანიის რეაგირებას გამოავლენს. კომპანიამ სათანადო დოკუმენტაცია წარმოადგინა მოთხოვნისამებრ და დაადასტურა, რომ სამივე შემთხვევაში პირგასამტეხლო სწორადაა დაკისრებული.

რეკომენდაცია

კომპანიას რეკომენდაციას გავუწევ მიმწოდებლის მიერ ვადების დარღვევის საპასუხო პირგასამტეხლოს დაკისრების წერილი ატვირთოს ელექტრონულ სისტემაში.

ედუარდი აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-316971

თბილისი, საქართველო
თარიღი: 30 აპრილი, 2025 წელი

[12] „73 კალენდარული დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან; შემდგომ 30 კალენდარული დღე ექსპერტიზის დასკვნის წარსადგენად. (მუხლი 6.1. 01.08.2024 წლის ხელშეკრულების ცვლილების შეთანხმების თანახმად)“